# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 171. ხუთშაბათი, 27 ნოემბერი 1903 წ. გაზეთის № 2335.



**მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

**სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ**

(წელიწადი მეცხრე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით**

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარეთ |
| --- | --- |
| 1 წლით—6 მ., 6 თვით – 4 მ., 1 თვით—50 კაპ. | 1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კაპ. |

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

**„მ ო ა მ ბ ე“**

(წელიწადი მეთერთმეტე)

**ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა**

| კავკასიასა და რუსეთში | საზღვარ-გარეთ: |
| --- | --- |
| 1 წლით – 10 მ., 6 თვით—6 მ., 3 თვით—3 მან. | 1 წლით—13 მ., 6 თვით – 7 მ., 3 თვით—5 მან. |

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება:** პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

# ალ. ყაზბეგისა.

**1904** წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან.** სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

**ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.**

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ,** რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372 ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.**


*
* *

(ტანიდან)

ძმაო, ეკლიან გზით თანამგზავრო,
მხნედ მიეგებე ცხოვრების ბრძოლას,
ნუ შეუდრკები სასტიკ ქარიშხალს,
ნუ დაუმონებ შენს მედგარ ძალას.
კვლავ ჭაბუკნი ვართ და გამბედავნი,
ჩვენს გულში ცეცხლი ჯერაც ანთია,
ვერას დაგვაკლებს ეს უკუნეთი,
სულთა მხუთავად გარს რომ გვარტყია.
ბრძოლით გავზრდილვართ! ვითა მახვილი
გამოვიბრძმედეთ ბრძოლაში სული
და არა ერთხელ მიგვიშვერია
შეუდრეკელად ხმლისათვის გული...
სულ ვერ იმეფებს ეს ბოროტება,
მძიმე უღელი ყველას ვერ დასძლევს,
გრიგალთა ქროლვა განფანტავს ღრუბელს
და განთიადსა მოგვიახლოვებს
ბევრს ბრწყინვალე წამს, მხიარულ დღეებს
კვლავ გავატარებთ ტკბილს და სანატრელს,
კვალად ხელს მივყოფთ მიგდებულ შრომას,
გამარჯვებამდე არ ავიღებთ ხელს.
ნუ, ნუ იხრი ქედს მაგრე საბრალოდ,
ნუ ეშიშვი ბნელს, გარს რომ გვარტყია,
კვლავ ჭაბუკნი ვართ და გამბედავნი,
ჩვენს გულში ცეცხლი ისევ ანთია....

9 ნოემბერი, 1903 წ. განდეგილი.

## № 13

დრამა ორ სურათად

თხზ. ს. ნაიდენოვისა

(დასასრული *)

**სურათი მეორე**

საღამოა. პირველ სურათის შემდეგ რამდენიმე დღე გადის. როდესაც ფარდა აიხდება, დიდი პაუზა, მერე ისმის კაკუნი კარებში და ლაპარაკი: სტეპანე ეკატერინა ივანოვნას ელაპარაკება.

**სტეპან** (კარიდორში). ვინა გნებავთ?

**ეკატერ.** (კარიდორშივე). მე-13 ნომრის მდგმური შინ არის?

**სტეპან.** შინ არ უნდა იყოს.

**ეკატერ.** ბარათს დავტოვებ... შეიძლება გასაღები მომცეთ?

**სტეპან.** კარებს არა ჰკეტავს ხოლმე. (კარებს აღებს და შემოდის ეკატერინა ივანოვნასთან ერთად).

**ეკატერ.** ბარათს დავწერ მხოლოდ...

**სტეპან** (ეჭვის თვალით უყურებს). დასწერეთ.... აღკრძალული კი მაქვს...

**ეკატერ.** მე მხოლოდ ბარათს დავწერ... (სტეპან სანთელს აანთებს და წავა. კარებს განგებ ღია დასტოვებს. ეკატერინა ივანოვნა დაჯდება სტოლთან და წერას დაიწყებს. რამდენსამე სტრიქონს დასწერს, უნდა ადგეს, მაგრამ ფეხებ მოკვეთილივით ხელ-ახლა სავარძელზე დაეშვება. სტეპანე ნომერში შეიხედავს).

**ეკატერ.** ემ საათში.... (სტეპან მიდის). უნდა წავიდე... მერე სად? ისევ ბულვარი... პოლიციელები... (კარიდორიდან ისმის ლაპარაკი: სტეპანე უხსნის გრიგორიევს, რომ მე-13 ნომერში ვიღაც ქალი შევიდაო. გარკვევით ისმის სტეპანეს ეს სიტყვები: „იქა ზის“. ეკატერინა ივანოვნა ყურს უგდებს ლაპარაკს. შემოდის

*) იხ. დამატება № 169.



გენისარეთის ტბაზე.—სურათი პოლენოვისა.

გრიგორიევი. პალტოსა და კალოშებშია. თბილი ქუდი ჰხურავს და ხელთათმანები აქვს გაკეთებული. ხელში სკრიპკის ჩასადები უჭირავს).

**გრიგორ.** (ვითომ არა იცის რა). შინა ხართ, ფედოროვ? (დაინახავს ეკატერინა ივანოვნას). თქვენა ხართ? გამარჯობათ. ვგონებ, ცოტათ ვიცნობთ ერთმანეთს?

**ეკატერ.** დიახ. ის-კი შინ არ არის.... შემოვედი, რომ ბარათი დამეტოვებინა.

**გრიგორ.** შინ იშვიათად არის ხოლმე. მე აქვე, მეზობლად ვცხოვრობ, მაგრამ ორ-სამ დღეში ერთხელ ძლივსა ვხედავ. (ჯდება და ხელებს იფშვნეტავს). გავიყინე.... ცივა გარედ, თოვლი მოვიდა...

**ეკატერ.** სად არის ხოლმე?

**გრიგორ.** ვინ იცის... თქვენ რაღად მოხვედით იმასთან?

**ეკატერ.** საქმე მაქვს...

**გრიგორ.** საქმე... (პაუზა). ვინა ბრძანდებით?

**ეკატერ.** ვგონებ თქვენთვის სულ ერთი უნდა იყოს...

**გრიგორ.** მართლაც და, თუ კარგად დაუკვირდები, ჩემთვის სულ ერთია... ისე, საინტერესოა... არა, ვტყუვი, არც საინტერესოა...

**ეკატერ.** ადამიანნი, საზოგადოდ, ერთმანეთის ცხოვრებას ყურადღებას არ აქცევენ....

**გრიგორ.** კარგადაც იქცევიან...

**ეკატერ.** საშიშოა ცხოვრება...

**გრიგორ.** თქვენთვის?

**ეკატერ.** არა, მე ჩემზე არ ვამბობ...

**გრიგორ.** არც ე ვამბობ ჩემზე, მაგრამ მაინც გეტყვით: საძაგელია ცხოვრება... სკრიპკისთვის მუდმივი ვარჯიშია საჭირო, შენ-კი გაკვეთილებზე უნდა ირბინო. მოსწავლეები უნიჭონი არიან, მუსიკას არავინა სცემს პატივს... (პაუზა).

**ეკატერ.** მე წავალ...

**გრიგორ.** არ გინდათ დაუცადოთ?

**ეკატერ.** მერე მოვალ... (კარიდორში ფედოროვის ხმა ისმის: „ეინა“-თ და რაღაც სიტყვები სტეპანისა).

**გრიგორ.** აი, მგონი, ისიც მოვიდა... (ეკატერინა ივანოვნა აღელდება, წასვლას მოისურვებს, მაგრამ მოიფიქრებს, რომ გვიან არის. **ფედოროვი** შემოვა, გაიხდის პალტოს, მიუახლოვდება ეკატ. ივან. და ხელს ჩამოართმევს).

**გრიგორ.** გელიანთ...

**ფედორ.** ვიცი. (გრიგორიევი ზურგზე ხელს დაჰკრავს, თვალით რაღაცას ანიშნებს და გავა).

**ფედორ.** გამარჯობათ... არ მეგონა, თუ მოხვიდოდით. (ლამფას უკიდებს). დაბრძანდით.... რა ამბავი, როგორა ბძანდებით? (ეკატერინა ივანოვნა დაჯდება და რაღაზედაც ფიქრობს. პაუზა). რას გაჩუმებულხართ? არ მაყვედრით, არა მლანძღავთ? (პაუზა). მეგონა, არ მოხვიდოდით. უთუოდ მაშინ ვერ გაგიცანით კარგად, ვერ გავიგე... მერე ვწუხდი და ვნანობდი... მეპატივება კიდეც... მე ჩემ სიცოცხლეში მხოლოდ ცუდ ყოფა-ქცევის ქალებსა ვხვდები, იმათ შორისა ვცხოვრობ და გასაკვირველი არ არის, თუ ეჭვი შემეპარა და ვიფიქრე, რომ თქვენც ისეთი ხართ...

**ეკატერ.** რისთვის მიამბობთ მაგას? ხელახლა აქა ვარ, თუმცა შეურაცხყოფა მომაყენეთ, მაშასადამე... (პაუზა. ფედოროვს ხელ-ახლა ეჭვი შეეპარება. უნდოთ უყურებს).

**ფედორ.** ვინა ხართ? მე იმის მეტი არა ვიცი-რა, რომ ეკატერინა ივანოვნას გეძახიანთ...

**ეკატერ.** ეგეც საკმაოა...

**ფედორ.** უბედური ხომ არა ხართ? (პაუზა). უთუოდ ეგრე იქნება... განა შეიძლება ასეთ ამინდში საზაფხულო ტანისამოსით სიარული?! ხომ გაცივდით...

**ეკატერ.** რა არის მერე?.. იქნებ მეც ეგ მინდა... თავი გაანებეთ მაგ გამოკითხვას... მე თქვენთან მოვედი... თუ გინდათ ჩაით გამიმასპინძლდით...

**ფედორ.** სიამოვნებით... (აღებს კარებს) სტეპან, სამოვარი მოიტანე! (უნდობლობა თან-და-თან იზრდება. ფედოროვს უსიამოვნება ეტყობა).

**ეკატერ.** (მცირედ გამხიარულებული). აი, ეხლაც ის იქნება, რაც მაშინ... რა კარგადა ვგრძნობდი მაშინ თავს... რა თქმა უნდა, იმ დრომდე, ვიდრე თქვენ ჭკუაზე არ შესცდით..... (იცინის). ნებას მომცემთ, შლიაპა და კოფტა გავიხადო?

**ფედორ.** გთხოვთ. (იხდის. მივა სარკესთან. ფედოროვი გულმოდგინედ თვალს ადევნებს ყოველ იმის მოძრაობას და ჰკვირობს).

**ეკატერ.** (სარკესთან) არ მიყვარს სარკეში ყურება, მაგრამ ათასში ერთხელ მომიხდება ხოლმე... ულამაზო ვარ დღეს, ყვითელი. არ მოგწონვართ?

**ფედორ.** (გაკვირვებული) რაო?

**ეკატერ.** ლამაზი არა ვარ. თქვენ რას იტყვით?

**ფედორ.** არ გეთანხმებით... სახე კარგი გაქვთ, თუმცა სასტიკის გამომეტყველებისაა... აღმზრდელ ქალსა ჰგევხართ, პანსიონის უფროსს ქალს...

**ეკატერ.** არ მომწონს ეგა... (სარკეს მოშორდება და დივანზე დაჯდება). მინდა ამ ჟამად ლამაზი ვიყო.... (გარკვევით ამბობს) ძალიან ლამაზი ქალი...

**ფედორ.** რას ამბობთ?

**ეკატერ.** ვერ გაიგონეთ?

**ფედორ.** არა, გავიგონე... (პაუზა. სტეპანს სამოვარი შემოაქვს, სტოლზე სდგავს და ჩაის ამზადებს. ეკატ. ივანოვნა დაისხავს და დალევს. ფედოროვი ოთახში დადის. ეხლა ყოველი მოძრაობა ეკატერინა ივანოვნასი აზრაზებს. ხან-და-ხან შეჰხედავს, მხრებს აიწევს და სიარულს განაგრძობს. ეკატერ. ივანოვნა ვერაფერსა ჰხედავს. იგი უნუგეშო დღისა და იქნებ ბულვარზე გატარებულ უძილო ღამეების შემდეგ სულითა და სხეულით ისვენებს ჩაის სტოლთან. ძალიან კარგად ჰგრძნობს თავს, ამიტომ ყურადღებას არაფერს აქცევს).

**ეკატერ.** (მეორე ჭიქა ჩაის ისხავს). მე-კი დავლევ და თქვენ როგორც გენებოთ.... სალამოობით უფრო გემრიელია ჩაი, ვიდრე დილაობით... სალამოს ჩაი სოფლად, აივანზე. დაგილევიათ სოფელში ჩაი, სალამოს ჟამს, იმ დროს, როდესაც აივნის წინ ნახირს მიერეკებიან? ძალიან მიყვარდა... (პაუზა). რაზე ფიქრობთ?

**ფედორ.** იცით, რაზე ვფიქრობ: რა მიზეზია, რომ უუბედურეს დედაკაცების მეტს ჩემი დახმარება და შველა არავის და არას დროს არ დასჭირებია? ნუ თუ ესეთი საცოდავი და უმნიშვნელო კაცი ვარ? (ეკატერინა ივანოვნა ჩაის თავს მიანებებს და ფედოროვს დაუწყებს ყურებას). რას მიყურებთ ეგრე?

**ეკატერ.** არაფერს... (ხანგრძლივი პაუზა. ეკატერ. ივანოვნა ლაპარაკს იწყებს მხოლოდ იმიტომ, რომ პაუზა დაარღვიოს). ბიძა ჩემს ერთი ჩვეულება ჰქონდა: როდესაც რამე მოეწონებოდა, პირს გააწლაპუნებდა... მახსოვს, აღდგომა დღეს თეთრი კაბა მეცვა... მოვიდა ჩემთან და გააწლაპუნა... (ძალდატანებით იცინის, თუმცა ტირილის გუნებაზეა).

(ეკატერინა ივანოვნა ფეხზე ადგება და ამაყად უყურებს, გულით უნდა, ხელი სტაცოს ჭიქას და სახეში ესროლოს, მაგრამ თავს იმაგრებს. შემდეგ ცივად და დაცინვით ეუბნება)

**ეკატერ.** მომწონხართ...

**ფედორ.** სისულელეა! რის მოწონება! თქვენ გინდათ კეთილშობილურის ქცევით ოვალები ამიბათ. მაშ იცოდეთ, რომ თქვენი არაფერი მჯერა! დადიხართ ჩემთან იმ აზრით, რომ დამიახლოვდეთ, ფულს არ იღებთ, რადგან იცით, თქვენ განზრახვას ავნებს... მეზიზღებით... წაბძანდით! (ეკატერინე ივანოვნა შეჰკივლებს და ისტერიულის ტირილით დივანზე დაეცემა. ფედოროვი გაოცებულია. ქალი ხმა მაღლა ტირის, მთელის ტანით კანკალებს, ძლივს ამბობს სიტყვებს, ერთსა და იმავეს რამდენჯერმე იმეორებს).

**ეკატერ.** მცივა... სად უნდა წავიდე... გასათბობად მოვედი... გასათბობად...

**ფედორ.** დამშვიდდით... თუ ღმერთი გწამთ, დამშვიდდით. (ტანისამოსის ღილებს უხსნის, თავს წყლით უსველებს და ამშვიდებს) მაპატიეთ, გთხოვთ მაპატიოთ... ძნელია კაცის ცნობა... იქნება თქვენ იმ გვარი არა ხართ... ისე უცნაურად გეჭირათ თავი... არც მე ვარ დამნაშავე: იშვიათად მქონია საქმე რიგიან ქალებთან... (ეკატერ. ივ. ხმა დაბლა სტირის, მაგრამ ტანი მაინც უკანკალებს). როგორ ჩავარდით ამ ყოფაში? სად არის თქვენი სამშობლო? თქვენი ოჯახი? (ეკატ. ივან. ხელახლა შეჰკივლებს). კარგი, კარგი, ნურაფერს ნუ იტყვით... მხოლოდ დამშვიდდით... მებრალებით... რომ მცოდნოდა... გარწმუნებთ, მებრალებით... გთხოვთ მაპატიოთ...

**ეკატერ.** გაჩუმდით!

**ფედორ.** (ანუგეშებს). უნდა მოითმინოთ... უნდა მოითმინოთ ხოლმე, ეკატერინა ივანოვნა. მარტო თქვენ არ იტანჯებით, ბევრი უფრო უარეს ყოფაშია... საკმაოა კაცს ფეხი დაუსხლტეს ცოტად დაქვეითდეს, რომ აქეთ-იქიდან ქვები დაუშინონ... ძნელია ცხოვრება, ძნელი...



ფოტოგრაფთან.—არ გაინძრეთ...—სურათი ლილიან შევიოტისა.

**ფედორ.** (მოთმინებიდან გამოსული). გთხოვთ, პირდაპირ მითხრათ: ვინა ხართ? რად დადიხართ ჩემთან? რა გინდათ ჩემგან?

**ეკატერ.** თავი დამანებეთ, ნუ მტანჯავთ... ემ საათში წავალ... (ადგება და ბარბაცით მიდის).

**ფედორ.** არა, არ გაგიშვებთ. მერე, მერე... ეხლა კი დაწექით და დამშვიდდით...

**ეკატერ.** წავალ...

**ფედორ.** არა, არ გაგიშვებთ... წამოდით დაგაწვენთ (მიჰყავს საწოლ ოთახში). წამოწექით ერთორ საათს.... ეცადეთ დამშვიდდეთ, ფიქრს ნუ მიეცემით... (ცოტა ხანს შემდეგ ფედოროვი წყნარად ოთახიდან გამოდის და დივანზე ჯდება. სცდილობს ხმაურობა არ მოახდინოს, ეშინიან, ეკატ. ივანოვნას არ დაუშალოს. ოთახში სიჩუმეა. ხან და ხან ისმის მეორე ოთახიდან ეკატ. ივანოვნას ხმა, ეტყობა სტირის და თავს იმაგრებს).

**ფედორ.** (ხმა დაბლა, თავისთვის). ჩავაქრობ სინათლეს... (აქრობს ლამპასა და სანთელს. ოთახში ბნელდება. ფედოროვი წვება დივანზე. პაუზა). ეკატერინა ივანოვნა, გძინავთ?

**ეკატერ.** არა.

**ფედორ.** ტყუილად მოიქეცით ეგრე... უკეთესი იქმნებოდა მოსულიყავით და პირდაპირ გეთქვათ. მაშინ მეც სხვანაირად მოვიქცეოდი...

**ეკატერ.** (მკვახედ და რწმენით). ტყუილია...

**ფედორ.** შეიძლება ეგრეც იყოს... (სიჩუმის შემდეგ). შარშან ერთმა ამხანაგმა მომმართა. მოვიდა და პირდაპირ მითხრა, მშიანო. მანეთი მივეცი და შვეიცარს ვუბრძანე, როცა ჩემთან მოვიდოდა, ეთქვა, რომ შინ არა ვარ...

(ხანგრძლივი პაუზა. კარიდორში ვიღაც გაივლის, კარებს გააღებს და იტყვის, „ასანთი მოიტა“-ო. ამის შემდეგ ხელ-ახლა სიჩუმე ჩამოვარდება. ფედოროვს დივანზე დაეძინება. ეკატერინა ივანოვნა დგება, ფეხ-აკრეფით გამოდის საწოლ ოთახიდან, სიბნელეში იპოვნის კოფტასა და შლიაპას და ნომრიდან გადის).

(ფარდა).

ი. ა—ძე.

ვაშლის ქურდი



პატრონი.—აქ ჩამოეთრიე, რას აკეთებ მანდ?

ქურდი. —ნება მომეცი, საღამომდე აქ დავრჩე: შარვალი დახეული მაქვს და ბინდამდე ვერ წავალ, სირცხვილია.



რესტორანში. მონადირეს ამბავი. 1. დავინახე მსუქანი იხვი. ასე დავუმიზნე თოფი, ვესროლე და 2. ჩემ ძაღლს ვუთხარ, „პილ“ 3. ტრეზორა გაექანა და მშვენიერი იხვი მომიტანა.



— ელენე, ნუ თუ გრომსაც არ მაჩუქებ მე, რომელმაც რვა ათასი თუმანი გადაგაგე?!.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.